

შპს გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. ძირითადი საშუალებები.....	12
5. მარაგები	13
6. ფული და დულის ექვივალენტები	13
7. მიღებული სესხები	13
8. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	14
9. პირდაპირი ხარჯები	14
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

შპს გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,379,061	8,707,005
		8,379,061	8,707,005
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	4,605,090	5,042,855
გადახდილი ავანსები		256,297	26,795
სავაჭრო მოთხოვნები		1,693,783	1,261,152
ფული და ფულის ექვივალენტები	6	270,167	449,361
		6,825,337	6,780,163
სულ აქტივები		15,204,398	15,487,168
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		244,448	244,448
გაუნაწილებელი მოგება		8,308,272	7,714,219
		8,552,720	7,958,667
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	3,001,157	3,810,841
		3,001,157	3,810,841
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		98,028	111,375
საგადასახადო ვალდებულება		78,990	52,658
სავაჭრო ვალდებულებები		3,473,503	3,553,627
		3,650,521	3,717,660
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,204,398	15,487,168

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი კურცხალია

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომხმარებელთან	8	2,871,752	2,167,918
გაფორმებული ხელშეკრულებებიდან			
პირდაპირი ხარჯები	9	(1,733,163)	(1,481,547)
საერთო მოგება		1,138,589	686,371
საერთო და ადმინისტრაციული			
დანახარჯები	10	(149,594)	(136,325)
კომერციული დანახარჯები		(41,491)	(37,674)
საოპერაციო მოგება		947,505	512,371
ფინანსური ხარჯი		(297,137)	(314,662)
სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი,		(102)	6,115
წმინდა			
კურსთაშორის სხვაობით მიღებული		(56,212)	(22,017)
ზარალი, წმინდა			
მოგება დაბეგვრამდე		594,053	181,807
მოგების გადასახადი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება		594,053	181,807

დირექტორი



გიორგი კურცხალია

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	244,448	7,532,412	7,776,860
წლის წმინდა მოგება		181,807	181,807
განაწილება მესაკუთრეებზე			
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	244,448	7,714,219	7,958,667
წლის წმინდა ზარალი/მოგება		594,053	594,053
განაწილება მესაკუთრეებზე			
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	244,448	8,308,272	8,552,720

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მთლიანი სრული მოგება	594,053	181,807
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	329,351	320,208
დარიცხული პროცენტები	297,137	314,662
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერით მიღებული შედეგი		
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	56,212	22,017
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1,276,753	838,694
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:		
მარაგების ცვლილება	437,765	578,719
გადახდილი ავანსების ცვლილება	(229,501)	107,363
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	(432,899)	(500,318)
მიღებული ავანსების ცვლილება	(13,348)	(144,455)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	(53,792)	(414,265)
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	984,978	465,738
გადახდილი პროცენტი	(459,815)	(44,374)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	525,163	421,365
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა		365
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა	(1,407)	(606,758)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,407)	(606,393)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები		
მესაკუთრეების მიერ თანხის გატანა		
მიღებული გადახდილი სესხები	(695,139)	429,724
გადახდილი სასესხო ვალდებულებები		
ფულადი ნაკადების წმინდა (გადინება)/შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	(695,139)	429,724
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(171,383)	244,696
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	449,361	222,552
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(7,811)	(17,849)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	270,167	449,399

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჰოტელ გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

გუდაური რესორტ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2016 წლის 21 აპრილს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405146596.

შპს “გუდაური რესორტ”-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოები, დვევლოპრული საქმიანობა და ბინების გაქირავება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შ.ნუცუბიძის ფერდ., III მ/რ, II კვ., კორ. 1, ბ. 16.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიის მთლიან წილს ფლობდა გიორგი კურცხალია.

ჯგუფის სტრუქტურა: შპს გუდაური რესორტ (შემდგომში ჯგუფი შვილობილებთან ერთად) თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილს:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	წილი/ხმის უფლება (%)
შპს ჰოტელ გუდაური რესორტ	სასტუმრო მომსახურება	100%
შპს ჰოტელ გუდაური რესორტ 2018	სასტუმრო მომსახურება	100%

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - გიორგი კურცხალია.

კომპანია შპს ჰოტელ გუდაური რესორტ 2018-ს იკონსოლიდირებს ნულოვანი ბალანსით. შპს ჰოტელ გუდაური რესორტ 2018-ზე არ ფიქსირდება არანაირი სახის აქტივები, ვალდებულებები თუ კაპიტალი.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შვილობილი კომპანიები: შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

შპს ჰოტელ გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ჯგუფები და სასარგებლო მომსახურების ვადები

შენობა-ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8
სატრანსპორტო საშუალებები	15

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება არასაოპერაციო შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

შპს ჰოტელ გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარი ცვლილება ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება.

შპს ჰოტელ გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა (ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები) და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საწარმომ ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საწარმომ ამონაგებში არ უნდა გაითვალისწინოს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები და დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც საწარმო რწმუნებულის როლში გამოდის, საწარმომ ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

შპს ჰოტელ გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით, ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება(ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

შპს ჰოტელ გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2022	470,481	866,834	6,563,890	118,540	1,007,765	73,196	9,100,705
შეძენა	-	506,851	533,397	-	16,733	81,598	1,138,579
გასვლა	-	(531,821)	-	-	(497)	-	(532,318)
31 დეკემბერი 2023	470,481	841,864	7,097,287	118,540	1,024,001	154,794	9,706,966
შეძენა	-	-	-	-	1,407	-	1,407
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	470,481	841,864	7,097,287	118,540	1,025,408	154,794	9,708,373
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022	-	-	(406,210)	(19,756)	(224,346)	(29,573)	(679,886)
ცვეთა	-	-	(233,907)	(7,903)	(72,612)	(5,786)	(320,208)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	132	-	132
31 დეკემბერი 2023	-	-	(640,117)	(27,659)	(296,826)	(35,360)	(999,962)
ცვეთა	-	-	(236,760)	(7,903)	(74,369)	(10,320)	(329,351)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	-	(876,876)	(35,562)	(371,195)	(45,679)	(1,329,312)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	470,481	866,834	6,157,680	98,783	783,419	43,622	8,420,819
31 დეკემბერი 2023	470,481	841,864	6,457,170	90,880	727,175	119,434	8,707,005
31 დეკემბერი 2024	470,481	841,864	6,220,410	82,978	654,213	109,115	8,379,061

შპს ჰოტელ გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. მარაგები

მარაგები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გასაყიდად გამიზნული ბინები	4,005,060	4,403,162
მოზინადრეებზე მისაწოდებელი ინვენტარი	546,706	586,795
ნედლეული და მასალები	53,323	52,899
სულ მარაგები	4,605,090	5,042,855

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	193,263	253,928
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	64,912	193,361
ფული სალაროში	11,992	2,073
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	270,167	449,361

7. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხის ძირი		
ბაზის ბანკი (GEL)	1,263,997	920,205
გიორგი კურცხალია (GEL)	1,104,434	1,735,719
გიორგი კურცხალია (USD)	39,001	398,668
სულ მიღებული სესხის ძირი	2,407,433	3,054,592
მიღებული სესხის პროცენტი		
გიორგი კურცხალია (GEL)	581,211	676,471
გიორგი კურცხალია (USD)	12,513	79,778
სულ მიღებული სესხის პროცენტი	593,725	756,249

შპს ჰოტელ გუდაური რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან 2023 და 2024 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი ბინების გაქირავებიდან	1,779,966	1,083,589
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	708,466	778,702
შემოსავალი რესტორნის მართვიდან	181,301	218,896
საიჯარო შემოსავალი	112,620	-
სხვა შემოსავალი	89,399	86,731
სულ ამონაგები	2,871,752	2,167,918

9. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2023 და 2024 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ბინების გაქირავებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	674,741	285,067
გაყიდული ბინების თვითღირებულება	448,787	518,211
ცვეთა	289,902	286,743
საგადასახადო ხარჯი	140,185	140,232
რესტორნის მართვასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	103,732	106,817
კომუნალური ხარჯები	75,816	144,478
სულ პირდაპირი ხარჯები	1,733,163	1,481,547

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2024 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	46,239	51,615
ცვეთა	39,449	33,465
რემონტის ხარჯი	38,510	24,987
საკონსულტაციო ხარჯი	8,500	7,500
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	5,540	4,182
საიჯარო ქირა	4,551	10,746
სხვა საერთო ხარჯი	6,804	3,830
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	149,594	136,325

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.